

<p>მიზნები</p>	<p>სასწავლო პროგრამის მიზანია საჯარო სამსახურის არსის, მისი გავრცელებული მოდელების, მოწყობის ძირითადი პრინციპების, საჯარო სამსახურში მიღებისა და საქმიანობის, მოხელეთა ანგარიშვალდებულებისა და შეფასების 2017 წლის 1 იანვრიდან შემოსაღები ახალი პირობებისა და წესების, საჯარო სამსახურის რეფორმის ძირითადი მიმართულებების, მათ მიზნებისა და ამოცანების, მოხელეთა უფლება-მოვალეობების და გარანტიების გაცნობით, მუნიციპალიტეტის მოხელეთა ცოდნის დონის ამაღლების ხელშეწყობა</p>
<p>შესასწავლი ძირითადი თემები</p>	<ol style="list-style-type: none">1. საჯარო სამსახურის და ბიუროკრატიის ცნებები. საჯარო სამსახურისა და ბიუროკრატიის თეორიული საფუძვლები.2. საჯარო სამსახურის სამართლებრივი საფუძვლები. მოქმედი კანონი "საჯარო სამსახურის შესახებ". საქართველოს მთავრობის მოქმედი დადგენილებები საჯარო სამსახურის სფეროში.3. საჯარო სამსახურის შესახებ ახალი კანონის რეგულირების სფერო. საჯარო სამსახურის მოწყობის ძირითადი პრინციპები.4. საჯარო სამსახურის მართვის სისტემა. საჯარო სამსახურის საბჭო და საჯარო სამსახურის ბიურო.5. მოხელეთა თანამდებობების კლასიფიცირება ახალი კანონის მიხედვით:6. მოხელის თანამდებობაზე მიღება:7. მოხელის კარიერის მართვა ახალი კანონის მიხედვით:8. მოხელის უფლებები და გარანტიები ახალი კანონის მიხედვით:9. მოხელის მოვალეობები ახალი კანონის მიხედვით:10. დისციპლინური პასუხისმგებლობა და დისციპლინური წარმოება ახალი კანონის მიხედვით.

მსმენელმა იცის:

- საჯარო სამსახურის და ბიუროკრატიის ცნებები. საჯარო სამსახურისა და ბიუროკრატიის თეორიული საფუძვლები. ბიუროკრატიის ტიპოლოგია - პატრიმონიალური და რაციონალური ბიუროკრატიები. მაქს ვებერის კონცეფცია ლეგალური ძალაუფლებისა და რაციონალური ბიუროკრატიის შესახებ. საჯარო სამსახურის გავრცელებული მოდელები - საჯარო სამსახურის კარიერული და პოზიციური მოდელი.
- საჯარო სამსახურის სამართლებრივი საფუძვლები. მოქმედი კანონი "საჯარო სამსახურის შესახებ". საქართველოს მთავრობის მოქმედი დადგენილებები საჯარო სამსახურის სფეროში. 2015 წლის 27 ოქტომბრის ახალი კანონი "საჯარო სამსახურის შესახებ". კანონის ამოქმედებასთან დაკავშირებული 2017 წლის 1 იანვრამდე მისაღები კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები. საჯარო სამსახურის რეფორმის ძირითადი მიმართულებები, მიზნები და ამოცანები
- საჯარო სამსახურის შესახებ ახალი კანონის რეგულირების სფერო. სახელმწიფო სამსახურის, საჯარო სამსახურის, საჯარო დაწესებულების, საჯარო მოსამსახურის, პროფესიული საჯარო მოხელის, სახელმწიფო პოლიტიკური თანამდებობის პირის და პოლიტიკური თანამდებობის პირის, შრომითი ხელშეკრულებითა და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირების ცნებები ახალი კანონის მიხედვით. საჯარო სამსახურის მოწყობის ძირითადი პრინციპები
- საჯარო სამსახურის მართვის სისტემა. საჯარო სამსახურის საბჭო და საჯარო სამსახურის ბიურო. საჯარო სამსახურის ბიუროს ფუნქციები. მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და გამგეობის/მერიის ადამიანური რესურსების მართვის ერთეულები, მათი სტატუსი და ფუნქციები.
- მოხელის თანამდებობაზე მიღება: მოხელისათვის დადგენილი ძირითადი, სპეციალური და დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები ახალი კანონის მიხედვით. მოხელის სერტიფიცირება, მოხელის ვაკანტურ თანამდებობაზე დანიშვნა კონკურსის წესით, დახურული და ღია კონკურსები. კონკურსის ჩატარების წესები ახალი კანონის მიხედვით.
- მოხელის კარიერის მართვა ახალი კანონის მიხედვით: მოხელის გადაყვანა, მოხელის კარიერული განვითარება, მოხელისათვის დროებითი ფუნქციების დაკისრება, მოხელის სამსახურებრივი მივლინება, მობილობა. მოხელის ანგარიშვალდებულება და შეფასება ახალი კანონის მიხედვით
- მოხელის უფლებები და გარანტიები ახალი კანონის

	<p>მიხედვით: მოხელისთვის უსაფრთხო და აუცილებელი სამუშაო პირობების შექმნა, მოხელის შრომითი გასამრჯელო, სახელფასო დანამატი, მოხელის წახალისება, მოხელის სამუშაო დრო და დასვენების დრო, ზეგანაკვეთური სამუშაო და ნახევარ განაკვეთზე მუშაობა, მოხელის შვებულება, მოხელის მიერ მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესაბამის თანამდებობაზე გადაყვანის მოთხოვნის უფლება, მოხელისთვის სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურება, მოხელის უფლებები, დახმარება მოხელის დალუპვისას ან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირად აღიარებისას, მოხელის საპენსიო უზრუნველყოფა, მოხელის უფლების დაცვა, მოხელეთა რეზერვი</p> <ul style="list-style-type: none"> • მოხელის მოვალეობები ახალი კანონის მიხედვით: მოხელის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულება და სამართლებრივი აქტების მოთხოვნების დაცვის ვალდებულება , განკარგულების შესრულების ვალდებულება, გამჭვირვალობისა და ღიაობის პრინციპის დაცვის ვალდებულება, საიდუმლო ინფორმაციის დაცვის ვალდებულება, მოხელის სხვა უფლებები და ვალდებულებები • დისციპლინური პასუხისმგებლობა და დისციპლინური წარმოება ახალი კანონის მიხედვით. მოხელის სამსახურიდან გათავისუფლება ახალი კანონის მიხედვით: მოხელის სამსახურიდან გათავისუფლების არსი, სამსახურიდან გათავისუფლების სავალდებულო საფუძვლები, სამსახურიდან გათავისუფლების სხვა საფუძვლები
<p>მოცულობა</p>	<p>კრედიტი: 0.7 საკონტაქტო საათი: 14</p>
<p>მწვრთნელი/მწვრთნელები</p>	<ol style="list-style-type: none"> 1. დავით ზარდიაშვილი 2. ნინო რომაშვილი 3. ნინო ფურცხვანიძე 4. სალომე წურწუშია 5. დავით მაკარიძე 6. ლაშა მარგიშვილი
<p>სასწავლო პროგრამის მიმწოდებლის საკონტაქტო ინფორმაცია</p>	<p>ნინო რომაშვილი ელ.ფოსტა: nromashvili@tcj.gov.ge ტელ: (995 32) 2 94 22 28 , 2 38 22 59; 599 58 88 01</p>